№330310016001602804

1213189687668

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ებ ა

საქართველოს სახელით

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

საქმე №ბს-1553(კ-18)

27 დეკემბერი, 2018 წელი
ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე
მაია ვაჩაძემ

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად, შევამოწმე ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას", ზაზა წიკალურისა და შოთა ბუჩუკურის საკასაციო საჩივრის ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას" ნაწილში წარმოებაში მიღების წინაპირობები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის განჩინების გაუქმების თაობაზე (მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს მთავრობა; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; მესამე პირები - შპს ,,ენერგოტრანსი"; ს/ს ,,სახელმწიფო ელექტროსისტემა").

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე და 397-ე მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნეს მიღებული ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას", ზაზა წიკალურისა და შოთა ბუჩუკურის საკასაციო საჩივარი ა(ა)იპ ,,მწვანე ალტერნატივას" ნაწილში;
2. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობა შემოწმდეს მხარეთა დასწრების გარეშე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე მ. ვაჩაძე

SUPREME COURT OF GEORGIA * 203860508 *